


როგორ შევიძინოთ სალარო აპარატი ონლაინ?

პროდუქტის შემენის პირველი ნაბიჯია წარმატებით დარეგისტრირება და პროფილში შესვლა. ყოველივე ამის გარეშე პროდუქციას ვერ შეიძენთ. რეგისტრაციის გავლისა და საკუთარ პროფილში შესვლის შემდგომ, ესტუმრეთ პროდუქტების განყოფილებას მენიუმში, აირჩიეთ სასურველი სალარო აპარატი და დააწკაპუნეთ კალათაში დამატების ღილაკზე.



კალათაში დამატების ღილაკზე დაწკაპუნების შემდგომ, ამოხტება ფანჯარა შეტყობინებით, რომ პროდუქტი წარმატებით დაემატა კალათაში, შემდეგ აირჩევთ კალათაში გადასვლის ღილაკს, რის შემდეგაც ავტომატურად გადამისამართდებით თქვენს კალათაში.



კალათაში შესვლისას, თქვენს მიერ დამატებულ სალარო აპარატს იხილავთ. მის შესაძენად სურათზე აღნიშნული რამდენიმე ეტაპის გავლა მოგიწევთ: 1. უჯრაში, რომელშიც ნომერ 1 წერია, აირჩიეთ ქალაქი და მიუთითეთ მოქმედი მისამართი, სადაც სალარო აპარატის გამოყენებას აპირებთ (შეგიძლიათ დააწკაპუნოთ წითელ კითხვის ნიშანზე, რომელიც სურათზე ყვითლადაა შემოხაზული. შედეგად, იხილავთ საჭირო ინფორმაციას). 2. აირჩიეთ გამოწერა (შეგიძლიათ დააწკაპუნოთ წითელ კითხვის ნიშანზე, რომელიც სურათზე ყვითლადაა შემოხაზული და იხილოთ ინფორმაცია). 3. ამის შემდეგ, დააწკაპუნეთ რიცხვი 3-ით აღნიშნულ ღილაკზე. 4. უჯრაში, რომელიც აღნიშნულია რიცხვით 4, აირჩიეთ ქალაქი და მოქმედი მისამართი, სადაც პროდუქტის მიღება გასურთ. გარდა ამისა, მიუთითეთ მოქმედი ტელეფონის ნომერი, რომ ჩვენმა ოპერატორმა თქვენთან დაკავშირება შეძლოს. 5. ვალიდური მონაცემების შეყვანისა და ხსენებული ოთხი ეტაპის გავლის შემდეგ, შეგიძლიათ, დააწკაპუნოთ ყიდვის ღილაკზე, რომელიც სურათზე აღნიშნულია 5-ით. ჩვენი ოპერატორი დაგირეკავთ და მითითებულ მისამართზე უმოკლეს დროში მიიღებთ სალარო აპარატსა და შესაბამის ხელშეკრულებას.



შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ სალარო აპარატის გამოყენება რომ დაიწყოს, ამისთვის კომპანიის დირექტორმა/მფლობელმა ან მინდობილობის საფუძველზე მოქმედმა მისმა რწმუნებულმა პირმა ოფიციალურ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროს. ამ ხელშეკრულებას ჩვენი კურიერი სალარო აპარატთან ერთად მოგართმევთ. უმორჩილესად გთხოვთ, რომ შეკვეთას ადგილზე დახვდით და ხელშეკრულებას ხელი მოაწეროთ, რომელსაც კურიერი ისევ კომპანიას წაუღებს

დასამტკიცებლად. თუ ხელშეკრულება ხელმოწერილია მინდობილობით მოქმედი პირის მიერ, ხელშეკრულება მინდობილობასთან ერთად უნდა გამოგეგზავნოთ.

თუ უკიდურესი აუცილებლობა დგას და ხელშეკრულებას მაშინვე არ მოეწერება ხელი, ჩვენი კურიერი დაგიტოვებთ მას. ხელმოწერის შემდგომ, დაუკავშირდით „DHL საქართველოს“ და „ჯორჯიან სერვის ნეტვორქისთვის“ (GEORGIAN SERVICE NETWORK) ხელშეკრულების მიწოდების შესახებ აცნობეთ. თუ დოკუმენტს ხელი მოეწერება მინდობილობით მოქმედი პირის მიერ, ხელშეკრულებასთან ერთად მინდობილობაც უნდა გაიგზავნოს (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ხელშეკრულების მიწოდების ხარჯებს კომპანია „ჯორჯიან სერვის ნეტვორქი“ (GEORGIAN SERVICE NETWORK) ფარავს.

გაითვალისწინეთ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის გარეშე სალარო აპარატის გამოყენებასა და საგარანტიო კონტრაქტების უზრუნველყოფას ვერ შეძლებთ.